

მართვის ხედვა

ხედვა ეყრდნობა არსებულ საკანონმდებლო ბაზას, საქართველოს კანონს მაუწყებლობის შესახებ, ნორმატიულ აქტებს, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ დოკუმენტებს, მათ შორის 2015/16 წლის პროგრამულ პრიორიტეტებს (2017 წლის პრიორიტეტების შემუშავებამდე სწორედ აღნიშნული დოკუმენტი სახედმძღვანელო). საერთაშორისო აქტებს და დოკუმენტებს: საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას, კონკრეტულად კი მეექვსე კარის მე-18 თავს, რაც ეხება ევროპასთან აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში თანამშრომლობას. ასევე ამ ხელშეკრულებით გათვარისიწინებულ დირექტივებს, განსაკუთრებით აუდიოვიზუალური მედიის სფეროში მომსახურების 2010 წლის დირექტივას (AVMSD). ევროპარდამენტის რეზოლუციებს (მათ შორის, პროპაგანდის შესახებ 2016 წლის 23 ნოემბრის რეზოლუცია). ხელმისაწვდომ კვლევებს (მათ შორის „ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორიის“ მიერ 2016 წელს გამოცემულ შრომას – „რეგიონალური და დოკალური მაუწყებლობა ევროპაში“).

ხედვა მოიცავს:

- მაუწყებლის განვითარების მოკლევადიან გეგმას (2017 წლის ამოცანები)
- მაუწყებლის განვითარების გრძელვადიან გეგმას.

2017 წლის ამოცანები:

- კონვერგენციის პროცესის წარმართვა
- ✓ ქვეამოცანა 1: პლატფორმათა ინტეგრირება, ნიუსრუმის მართვის სისტემის შექმნა. შიდაკოოპერაციის გაუმჯობესება.
- ✓ ქვეამოცანა 2. ინფრასტრუქტურული ცვლილებების დაგეგმვა და ეფექტური განხორციელება.
- 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნების გაშუქების გეგმის შემუშავება და განხორციელება
- ✓ ქვეამოცანა 1: რეგიონების გაშუქების, რეგიონული ბიუროების გაძლიერება.
- ✓ ქვეამოცანა 2: პროცესის გაშუქების სხვადასხვა ფორმატების კროსპლატფორმული შეთავაზება.
- მოსახლეობის ინფორმირებისა და ჩართულობის ხელშეწყობა, მიმდინარე საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესში.

2017 წლის სხვა ამოცანები დეტალურად არის განწერილი 2015/16 წლის პროგრამულ პრიორიტეტებში, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ საზოგადოების ჩართულობით შეიმუშავა. მართვის ამოცანებიდან, მიუხედავად განსაზღვრული დროის ამოწურვისა, კვლავ განსახორციელებელია შემდეგი:

- თანამშრომელთა ჩართულობით, მაუწყებლის ერთეულების დანიშნულებისა და მიზნის განსაზღვრა
- საეთერო დროის 25 %-ის გარეპროდუქციისთვის დათმობის კანონით გათვარისწინებული ვარდებულების შესრულება.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის დაცვის რეალური მექანიზმების დანერგვა
- მაუწყებლის ერთეულებზე ბიუჯეტის გადანაწილების კრიტერიუმებისა და პროპორციის ანალიზი , განუვლი ხარჯებისა და მიღებული შედეგების მიხედვით.
- მაუწყებლის ტექნიკური და ტექნოლოგიური განვითარება
- შესყიდვების პოლიტიკის ოპტიმიზაცია და გამჭვირვალობა
- შემოსავლების ოპტიმიზაცია და გამჭვირვალობა

დამატებითი ამოცანები წდება მოცემულია საქართველოს კანონში მაუწყებლობის შესახებ და მათი შესრულება დღემდე პრობლემურია:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის საჯაროობა. კანონი მიუთითებს რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა აწყობდეს რეგულარულ შეხვედრებს საზოგადოებასთან, მოსახლეობის ინტერესების ფართო სპექტრის ასახვის მიზნით.
- საზოგადოებრივი საბჭოების ფორმირება. კანონის 31-ე მუხლი მაუწყებლის ეთერში საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნილებების წარმოდგენის გზად სახაავს საზოგადოებრივი საბჭოების ფორმირებას.
- კანონით განსაზღვრული შინაარსობრივი ვარდებულებების შესრულება, მათ შორის უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და მათი ჩართულობით პროგრამების წარმოება.

გრძელვადიანი გეგმის ნაწილი უნდა გახდეს ევროინტეგრაციით, ასოცირების ხერხეკულებით მოცემული შესაძლებლობების გამოყენება, მათ შორის „შემოქმედების ევროპის“ პროცესში ჩართვა. ასევე აუდიოვიზუალური და მედიის შესახებ მომსახურების დირექტივის კონკრეტული მითითებების შესრულება:

- ტექნოლოგიური განვითარების გეგმის ნაწილი უნდა გახდეს ე.წ. „ვიდეო გამოძახებით“ სერვისის შეთავაზება.
- შშმ პირებისთვის სამაუწყებლო სერვისების შეთავაზება.
- დირექტივის განმხორციელებელ ქვეყნებთან საქართველოში წარმოებული აუდიოვიზუალური პროდუქციის შექმნა/მიწოდება-რეალიზება.
- პროპაგანდასთან გამკლავება.

გრძელვადიანი გეგმა შედეგად უნდა გვაძლევდეს საზოგადოების მოდარაჯე ინსტიტუტს, განათლებისა და გართობის წყაროს. სიტყვის და გამობატვის თავისუფლების, მედიათა მდგრადობის, საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფედ რიდერ აქტორს, რაც მხოლოდ პოლიტიკური და კომერციული გავრენისაგან თავისუფად, საზოგადოებისადმი ანგარიშვარდებულ, გავრენიან ინსტიტუტს თუ შეუძლია.